

ზოგადი რეკომენდაცია XXI(48)

მიღებული 1147-ე შეხვედრაზე, 1996 წლის 8 მარტს

1. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფები ან უმცირესობები ხშირად მიმართავენ თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც მათი მტკიცებით სეცესიის უფლების საფუძველს ქმნის. აღნიშნულთან დაკავშირებით კომიტეტს სურს გამოთქვას შემდეგი მოსაზრებები.
2. ხალხთა თვითგამორკვევის უფლება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპია. ის არის მოცემული გაეროს წესდების პირველ მუხლში, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პირველ მუხლში, და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პირველ მუხლში, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო აქტებში. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი ადგენს ხალხთა უფლებას თვითგამორკვევაზე გარდა იმისა, რომ ცალკე ითვალისწინებს ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური უმცირესობების უფლებას, ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ ან აღასრულონ თავიანთი რელიგია და გამოიყენონ მათი ენა.
3. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ გაეროს წესდების შესაბამისად სახელმწიფოებს შორის მეგობრულ ურთიერთობებთან და თანამშრომლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ დეკლარაციის თანახმად, რაც დაამტკიცა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ თავისი 1970 წლის 24 ოქტომბრის 2625 (XXV) რეზოლუციით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ ხელი შეუწყოს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. მაგრამ თვითგამორკვევის პრინციპის იმპლემენტაცია მოითხოვს ყველა სახელმწიფოსგან, გაერთიანებული ან დამოუკიდებელი ქმედებების მეშვეობით, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვას გაეროს წესდების შესაბამისად. ამ კონტექსტში კომიტეტი მიაპყრობს მთავრობების ყურადღებას ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების წევრთა უფლებების შესახებ დეკლარაციას, რომელიც მიღებული იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 47/135 რეზოლუციით, 1992 წლის 18 სექტემბერს.
4. ხალხის თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორი ასპექტი. ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას აქვს შიდა ასპექტი, რაც გულისხმობს ყველა ხალხის უფლებას თავისუფლად შეძლონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება გარე ჩარევის გარეშე. ამ მხრივ არსებობს კავშირი ყველა მოქალაქის უფლებასთან, ნებისმიერი დონეზე ჩაერთოს საჯარო საქმიანობის განხორციელებაში, რაც მითითებულია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში. შესაბამისად, მთავრობები უნდა წარმოადგენდნენ მთელ მოსახლეობას რასის, კანის ფერის, წარმომავლობის ან ეროვნული ან ეთნიკური ნიშნით განსხვავების გარეშე. თვითგამორკვევის გარე ასპექტი გულისხმობს ყველა ხალხის უფლებას თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილება მათი პოლიტიკური სტატუსის და საერთაშორისო საზოგადოებრიობაში მათი ადგილის შესახებ თანასწორი უფლებების პრინციპზე დაყრდნობით, რის მაგალითსაც წარმოადგენს ხალხების გათავისუფლება კოლონიალიზმისგან და იმის აკრძალვა, რომ ხალხი იმყოფებოდეს უცხოელთა მორჩილებაში, დომინირებასა და ექსპლუატაციაში.
5. იმისთვის, რომ სრულად სცენ პატივი ყველა ხალხის უფლებას სახელმწიფოს შიგნით, მთავრობებს კიდევ ერთხელ მოუწოდებთ სრულად დაიცვან და აღასრულონ საერთაშორისო, ადამიანის

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი

უფლებების აქტები და განსაკუთრებით რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია. რასობრივი, ეთნიკური, ტომის კუთვნილების, რელიგიური ან სხვა საფუძვლით დისკრიმინაციის გარეშე ინდივიდის უფლებების დაცვაზე ზრუნვა უნდა იყოს სახელმძღვანელო პრინციპი მთავრობის პოლიტიკისთვის. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის და სხვა შესაბამისი საერთაშორისო აქტების თანახმად, მთავრობები მომეტებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ეთნიკური ჯგუფების წევრების უფლებებს, განსაკუთრებით მათ უფლებას იცხოვრონ ღირსეულად, შეინარჩუნონ თავიანთი კულტურა, სამართლიანად გადანაწილდეს მათზე ეროვნული ზრდის ნაყოფი და შეასრულონ როლი იმ სახელმწიფოს მმართველობაში, რომლის მოქალაქეებიც არიან. ასევე, მთავრობებმა უნდა იფიქრონ, შესაბამისი კონსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში, რომ ეთნიკური ან ლინგვისტური ჯგუფების წევრებს, რომლებიც მათი მოქალაქეები არიან, როდესაც ეს მართებული იქნება, მიანიჭონ უფლება იმგვარი საქმიანობისა, რაც განსაკუთრებით რელევანტურია ამ პირების ან ჯგუფების იდენტობის შენარჩუნების ინტერესისთვის.

6. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ მეგობრული ურთიერთობების დეკლარაციის თანახმად, კომიტეტის რომელიმე ქმედება არ უნდა განიმარტოს, როგორც იმგვარ საქმიანობაზე ნების დართვა ან წახალისება რომელიც დაანაწევრებს ან შელახავს, ნაწილობრივ ან სრულად, პოლიტიკურ ერთობას ან ტერიტორიულ მთლიანობას იმ სუვერენულ და დამოკიდებელ სახემოწვფოებში, რომლებიც იქცევიან თანასწორი უფლებებისა და თვითგამორკვევის პრინციპების შესაბამისად, და ყავთ მთავრობა რომელიც წარმოადგენს ტერიტორიაზე დასახლებულ მთელს ხალხს, რასის, მრწამსის ან კანის ფერის ნიშნით განსხვავების გარეშე. კომიტეტის აზრით, საერთაშორისო სამართალი არ აღიარებს ზოგადად ხალხის უფლებას ცალმხრივად გამოაცხადონ სახელმწიფოდან სეცესიის შესახებ. ამ მხრივ, კომიტეტი ეთანხმება იმ მოსაზრებებს, რაც გამოთქმულია მშვიდობის დღის წესრიგში (პარაგრაფი 17-დან), კერძოდ, იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოების დანაწევრება შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს ადამიანის უფლებების დაცვის, ისევე როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის. თუმცა ეს არ გამორიცხავს, ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტების შერჩევის შესაძლებლობას.



ზოგადი რეკომენდაცია ითარგმნა სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით.